

# ყურით მოთრეული ისტორია

## ანუ აშოტ-შოთა რუსთაველის, აკაკი წერეთელ-ბაგრატიუნისა და სხვათა შესახებ

სტატიის წერას ვიდრე შევუდგებოდი, გონების თვალთ გადავხედე ქართველი და სომეხი ხალხების თანამეზობლობის ისტორიას და არცთუ სახარბიელო დასკვნამდე მივედი. აღმოჩნდა, ოდითგან მოყოლებული სომეხი ისტორიკოსები ხშირ შემთხვევაში მეზობელ ქართველებს დადებით კონტექსტში არ მოიხსენიებენ. ეს უარყოფითი ტრადიცია მეცხრამეტე საუკუნეში გადაეცა სომხური ბურჟუაზიის წარმომადგენელ მეცნიერებს და მწერლებს, რომლებიც უფრო შორს წავიდნენ და ქართველთა ნატამალიც კი გააქრეს ივერთ მინაზე<sup>^</sup> მთელი საქართველო თუ არა, აღმოსავლეთ საქართველო მაინც ისტორიული სომხეთის ტერიტორიად გამოაცხადეს. ამგვარად სომეხ მეცნიერთა და სომეხების მიერ მოსყდულ უცხო სწავლულთა თუ მოგზაურთა მიერ ქართველი ხალხის წარსულის არაობიექტურად შეფასებამ გამოიწვია ილია ჭავჭავაძის სამართლიანი რისხვა და დაიბადა უკვდავი „ქვათა ლაღადი“. ასეთი მწვავე და საფუძვლიანი კრიტიკის შემდეგ მეოცე საუკუნის ზოგიერთი სომეხ მეცნიერი, ალბათ, გონს უნდა მოგებულყო, მაგრამ არა - ერთხელ გამრუდებული ცნობიერება ვერ იქნა და ვერ გასწორდა და ეს მავნე ტრადიცია ახალი ენერჯით გაგრძელდა.

ამის ყველაზე ტიპური მაგალითია ის, რომ **1919** წელს დაშნაკმა მეცნიერებმა გამოსცეს სომხეთის ისტორიული და სახელმწიფო რუკები. ამ რუკებზე თითქმის მთელი აღმოსავლეთ საქართველო, თბილისის ჩათვლით, სომხეთის საზღვრებშია მოქცეული. ამ რუკებით წარდგინდნ დაშნაკები სტამბოლის კონფერენციაზე (**1919**) ისტორიული „უსამართლობის“ აღდგენა მოითხოვეს. მაგრამ თურქეთის წარმომადგენელმა ამ ფანტასტიკური რუკების (ასე უწოდებს ივანე ჭავჭავაძე) უნიადაგობა და სიყალბე ამხილა და გააცამტვერა. დაშნაკთა ეს აფიორა საპნის ბუშტივით გასკდა. ეფექტი იმდენად ძლიერი იყო, რომ იმ დროს სომეხთა მომხრე ამერიკისა და ინგლისის წარმომადგენლებმა სომეხები ვერ დაიცვეს. **ამ სამარცხვინო მარცხმაც ვერ გაუტეხა გული დაშნაკებს და, რასაც ტყუილებით ვერ მიაღწიეს, ძალით შეეცადნენ იმის მიღებას, ისინი ომის გამოუცხადებლად თავს დაესხნენ საქართველოს.** პირველი წარმატების მიუხედავად, ქართულმა ჯარმა გენერალ მაზნიაშილის მეთაურობით შემოსეული სომხური ჯარი დაამარცხა და **ინგლისი რომ არ ჩარეულიყო, ქართველებს ერევანში შესვლას ერთი ნაბიჯიღა აკლდათ.** ზოგიერთი სომეხი ისტორიკოსი ცდილობს, ქართველთა ეს გამარჯვება მიჩქმალოს, მაგრამ ფაქტი ჭიუტია და ისტორიიდან მას **ნაჭახითაც ვერ ამოჭრი.** სამწუხაროდ, **ისტორიამ ჭკუა ვერ ასწავლა ზოგიერთ სომეხ სწავლულს და ეს ფანტასტიკური რუკები კვლავ დაიბეჭდა.** ახლა ისინი მთლიან საქართველოზე ველარა, მაგრამ **ჭავახეთზე აცხადებენ პრეტენზიას.** ბარემ აქვე ვიტყვი ჭავახეთის შესახებ. საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ, როცა საქართველოსა და სომხეთს შორის საზღვრების გამიჭვნა დაიწყო, **სომეხმა ბოლშევიკებმა დაშნაკთა ძველი გეგმა გაიხსენეს და ჭავახეთის ან ავტონომია ან სომხეთთან შეერთება მოითხოვეს.** ამასთან დაკავშირებით, დიდმა ივანე ჭავჭავაძემ **1925** წელს წერილი მისწერა საქართველოს

საბჭოთა მთავრობას და მეცნიერულად დაასაბუთა, რომ სომეხი ბოლშევიკების მოთხოვნას არ გააჩნდა არც ისტორიული და არც ეკონომიკური საფუძველი.

ეს მცირე ისტორიული ექსკურსი იმისთვის დაგვიჩვენა, რომ თვალის ერთი გადავლებით გვეჩვენებინა ზოგიერთი სომეხი მეცნიერის თუ პოლიტიკოსის საქართველოს წარსულსა თუ აწმყოზე უსაფუძვლო თავდასხმის მოკლე ისტორია. ამ მხრივ „ქვათა დაღალი“ თავდაცვითი ხასიათის ნაშრომია. თუმცა რატომ მართლ „ქვათა დაღალი“. ვერ დავასახელებთ ამ თემაზე დანერგულ ქართველ სწავლულთა, თუ გნებავთ, ჟურნალისტთა ნაშრომს, რომელიც თავდაცვითი ხასიათისა არ იყოს. ამ ნაშრომებში, მიუხედავად ცხარე პოლემიკური ხასიათისა, სომხეთის ისტორია ობიექტურად არის წარმოდგენილი. აქ ვერ შეხვდებით ვერანაირ მეცნიერულ სიყალბეს, რასაც სომეხ ისტორიკოსთა და მწერალთა ნაღვანში, რამდენსაც გნებავთ, იმდენს ნახავთ (ჭავჭავაძის მისაკუთრების პერმანენტულ მცდელობაზე კი უკვე ვთქვით და აღარ გავიმეორებ). ქვემო ქართლის (ძველი გოგარენი) თავისკენ მიჩოჩების სურვილით სახვს ნაშრომების გამოქვეყნება დღემდე არ წყდება სომხურ სამეცნიერო და საზოგადოებრივ პრესაში. ეს კიდევ არაფერი, ორივე ქართული ძირძველი მხარე საქართველოს სახელმწიფო საზღვრებშია და ამ მხრივ ასე თუ ისე დაცულია. საქმე ის არის, თურქეთის საზღვრებში მოქცეულ ტაო-კლარჯეთის ძველისძველ ქართულ მიწას და არქიტექტურას რომ გვედავებინან! ავიღოთ თუნდაც პროფ. ტირან მართუნიანის მონოგრაფია „სიღრმეთა სომხეთი“ (1978). ხომხურ ენაზე. მასში, არც მეტი - არც ნაკლები, ოპი, ბანა, ხახული და სხვა ქართული ტაძრები გამოცხადებულია სომხური ხუროთმოძღვრების ძეგლებად. მანამდე კი ზოგიერთმა სომეხმა მეცნიერმა ჩვეულ ნაცად ხერხს მიმართა და რუს მეცნიერს, ვინმე ტოკარსკის, დაანერინა ვრცელი მონოგრაფია - „ძველი სომხური არქიტექტურა“ (1946). წიგნი გამოვიდა ერევანში, რუსულ ენაზე. რედაქტორია აკად. ი.ორბელი. მასში ტაო-კლარჯეთის ქართული არქიტექტურა განხილულია, როგორც სომხური არქიტექტურის განვითარების ერთი ეტაპი. ეს ე.წ. მეცნიერული ნაშრომი გააკრიტიკა და ტოკარსკის ყალბისმქნელობა ძირფესვიანად გააშიშვლა აკად. ს. ჭანაშიამ „ისტორიული სიმართლის დამახინჯების ერთი მაგალითის შესახებ“ (1947). ეს მონოგრაფია ითვლება აკადემიური კრიტიკის ნიმუშად და, სომეხმა მეცნიერებმა, ფაქტობრივად, მას უსახუბი დღემდე ვერ გასცეს, მაგრამ, რად გინდა, აგერ ახლახან ისტორია კვლავ განმეორდა და ზოგიერთი ერევნელი და მოსკოვში მცხოვრები სომხური წარმომავლობის რუსი მეცნიერების წყალობით 2003 წელს მოსკოვში რუსულ ენაზე გამოსულ - „მართლმადიდებლური ენციკლოპედიის“ მესამე ტომში ტაოკლარჯეთის ქართული არქიტექტურა კვლავ სომხურად არის გამოცხადებული.

ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ქართული ეკლესიების დაჩემებასაც ცდილობს. მაგალითად, ერევანში სომხურ ენაზე დაიბეჭდა სამველ კარაპეტიანის ავტორობით რუკა-ცნობარი - „სომხური ეკლესიები საქართველოში“ (1995). მაინც რამდენი სომხური ეკლესია შეიძლება იყოს საქართველოში? ალბათ, გაუკვირდება მკითხველს, როცა გაიგებს. კარაპეტიანი 650-ზე მეტ სომხურ ეკლესიას „აფიქსირებს“ თავის ეგრეთ წოდებულ რუკა-ცნობარში. დიდ მეცნიერულ აღმოჩენად არ ჩამეთვლება, თუ ვიტყვი, რომ აქედან ნახევარზე მეტი ქართული ეკლესიებია. ისე არავინ გაიგოს, თითქოს საქართველოში სომხური ეკლესიების არსებობას საერთოდ უარვყოფდეს; არა, ეს ასე არ არის. საქართველოში გვაქვს სომხური ეკლესიები და ეს ბუნებრივიც გახლავთ. აღმოსავლეთის დამპყრობლებს გამოქცეული ლტოლვილი სომხები ოდიტგან თავს აფარებდნენ საქართველოს და მკვიდრდებოდნენ. ფეხს რომ მოიკიდებდნენ ქართულ მიწაზე, ეკო-ნომიურად წელში გაიმართებოდნენ, შემდეგ იწყებდნენ ეკლესიების შენებას. ზოგჯერ ახალს აშენებდნენ, მაგრამ ხშირად მტრების მიერ გავრანებული ქართულ ეკლესიებს გაარემონტებდნენ და ისაკუთრებდნენ ან ქართულ ნაეკლესიარზე სომხურს აშენებდნენ და ა.შ., ძველ ქართულ წარწერებს კი ხელყოფდნენ, ანადგურებდნენ. აქვე შევნიშნავ, ამ საქმეში კარაპეტიანი პირ ველობას ვერ დაიჩემებს, რადგან მასზე ადრე, 1960 წელს, სომეხმა მეცნიერმა ჰ.ოსკიანმა ვენაში გამოსცა წიგნი - „გუგარეთის ტაძრები“ (სომხ. ენაზე) ამ მეცნიერმა, არც აცია, არც აცხელა, და ქვემო ქართლის, გოგარენის (სომხები გუგარეს

უნყობენ) **სომხურად გამოაცხადა ქართული ტაძრები: შუჭაბი, წულრულაშენი, სიონი, ახტალა და სხვა ქართული საკულტო ნაგებობები.** (ტაძრების, ეკლესიების, შესახებ დანწერილებით იხილეთ. ბონდო არველაძე - „სომხური“ თუ ქართული ეკლესიები საქართველოში“ (1996). ქართულ, ინგლისურ და რუსულ ენებზე).

ამგვარად, ფაქტია, **650** სომხური ეკლესიის არსებობა საქართველოში მოგონილია და სიცრუეა. აქვე შევნიშნავ, ამ ეკლესიათა უმრავლესობა არქიტექტურული თვალსაზრისით ძალიან დაბალ დონეზეა და მათ მხატვრულ ღირებულებაზე ლაპარაკიც ზედმეტია. ეს კარგად იციან კარაპეტიანმა და მისმა მსგავსმა სომეხმა მეცნიერებმა, მაგრამ აქ ძალღის თავი სხვაგან მარხია. **ამგვარი მეცნიერები ფიქრობენ, რაც მეტ სომხურ ტაძარს, ეკლესიას, საყდარს „აღრიცხავენ“ საქართველოში, მით უფრო მეტი საფუძველი ექნებათ ტერიტორიული პრეტენზიებისა საქართველოს მიმართ.** ეს კვლევის სხვა თემაა და სხვა დრო.

ამ ცოტა ხნის წინ გავიგე, რომ **ერმიადინიდან საქართველოს საპატრიარქოში ჩამოვიდა დელეგაცია თბილისის სომხური ეკლესიების საქართველოს სომხური საეპისკოპოსო ეპარქიისთვის გადაცემის მოთხოვნით.** ალბათ, ამ ყალბ რუქა-ცნობარს დოკუმენტად გამოიყენებენ და დაიწყებენ, მაგალითად, თბილისის-ს ბეთლემის ქართული ტაძრის სომხურობის მტკიცებას. ბეთლემი ერთერთი უძველესი ქართული ტაძარია თბილისში. იგი ვახტანგ გორგასალმა ააშენა V საუკუნეში. მისი სომხურობის არავითარი საფუძველი არ არსებობს, მაგრამ იგი შეტანილია სომხურ ტაძრად. ს. კარაპეტიანის აღნიშნულ რუქა-ცნობარში. ამგვარი გასომხებული ქართული ეკლესიების რიცხვი, როგორც ვთქვით, ბევრია და მათ დროზე სჭირდება მიხედვა.

ზოგიერთი სომეხი მეცნიერი ქართული ეკლესია-ტაძრების დასაკუთრებას არ დასჯერდა და ახლა ძველი ქართული ციხესიმაგრეები დაიჩემა. აი, მაგალითად, **1970** წელს გამოვიდა მ. შოვანესიანის წიგნი - „სომხური ციხესიმაგრეები“ (ვენეცია, სომხურ ენაზე). **მასში, ძველ სომხურ ციხესიმაგრეებად არის შეტანილი თორთუმის ციხე, შამქორის ციხე, სამშვილდე, ანუ ორბეთის ციხე, ასკურეთის, ანუ საკურეთის ციხე, ახალქალაქის ციხე, ყველისციხე, დმანისის ციხე. არტაანის ციხე, თმოგვის ციხე, არტანუჯის ციხე. ახტალის ციხე, თუხარისის ციხე და სხვ.** ამ ციხეების ძირძველ ქართულობის მტკიცებას ამჯერად არ შევუდგებით, მაგრამ ერთის შესახებ სანიმუშოდ ვიტყვი. „ქართლის ცხოვრების“ ცნობის თანახმად, არტანუჯის ციხე ხომ მეფე ვახტანგ გორგასალის აშენებულია და ეს სადავო არ იყო, მაგრამ დღეს ესეც საჭოჭმანოდ გაგვიხადეს სომეხმა ისტორიკოსებმა. კიდევ მეტი: ტაპონიმ არტანუჯს სომხურ ენობრივ ნიადგზე ხსნის ზოგიერთი სომეხი მეცნიერი: არტანუშ. უძველეს ქართულ წყაროებში რომ არტანუჯად არის მოხსენებული, ამას არად დაგიდევნ... როგორც ჩანს, ქალაქი ყელაფერს იტანს.

„ლიტერატურნაია გაზეტა“-ს **2005** წლის **25** იანვარი - **1** თებერვლის ნომერში (**# 2-3**) გამოქვეყნებულია ვ. მარიანის სტატია - „რატომ უყვართ მათ რუსები“. ავტორი ნიშნისმოგებით წერს - ერევნის ქუჩებში ვერ შეხვდებით მათხოვრებს იმ დროს, როცა ამაყი და თავმოყვარე ქართველების მოხუცები და ბავშვები ხელგანწვდილები დგანან თბილისის ქუჩებში. იგი ამას ხსნის იმით, რომ სომხური რელიგია, ეკლესია კრძალავს მონყალების თხოვნას. მე არ ვიცი, რომ გრიგორიანული სარწმუნოება მართლა უკრძალავს თუ არა გაჭირვებულ მრევლს ლუკმაპურის თხოვნას, მაგრამ ის კი ვიცი, თბილისში და არა მარტო აქ ცხოვრების სახსარს მოკლებული არაერთი სომხური ეროვნების და სარწმუნოების ადამიანი ხელგანწვდილი მათხოვრობს. თუ ეჭვი შეეპარა ამაში მარიანს, ჩამობრძანდეს და საკუთარი თვალთა ნახავს ამ უსიამოვნო სურათს.

ვ. მარიანი **სტატიაში სიამაყით აღნიშნავს, ერევანში პუშკინის, გრიბოედოვის ქუჩებს სახელები არ გადაარქვესო.** ამით რუსების წინაშე თავს იწონებს და მათი გულის მოგებას ცდილობს.

მშვიდობაში მოახმაროს რუსები მარიანს და მის მსგავსთ, მაგრამ რუსული მწერლობის და კულტურის პატივისცემაში ქართველები ტოლს არაღვის, მათ შორის, სომხებსაც არ უდებდნენ და არ უდებენ დღესაც. მთელი რუსეთის იმპერიის მასშტაბით პუშკინის ძველი პირველად დაიდგა თბილისში. **აფხაზეთის ომის დროს, როცა რუსის ჯარი ქართულ ქალაქებს და სოფლებს ბომბავდა და ანადგურებდა, მაშინაც კი, რუსული კულტურის ძეგლებისათვის საქართველოში ხელი არაღვის უხლია.** ასე რომ, არათფერი სატრაბახო არ აქვს მარიანს ამ მხრივ.

ვ. მარიანი თანამედროვე რუსეთის და სომხეთის სოციალ-ეკონომიურ მდგომარეობას ერთმანეთს უდარებს და ვინმე მოსკოველი პროგრამისტის პირით ასეთ დასკვნას გვთავაზობს - **ფული უნდა გააკეთო მოსკოვში, იცხოვრო ერევანში, სადაც არის მთის სუფთა ჰაერი და მსოფლიოში ყველაზე საუკეთესო წყალი მოდის ონკანებში.** ეს მოსკოვეპროგრამისტი, ეტყობა, სომეხია, თორემ საეჭვოა, რუსს ეთქვას ასეთი სიტყვები, ეს უფრო გ. დანელიას ფილმის „მიმინოს“ გმირის - ხაჩიკას ცნობილი სიტყვების გადამღერებაა.

ეტყობა, კვეხნის სინდრომი მძლოლ ხაჩიკასავით მოჭარბებულად აქვს გამჭდარი ძვალ-რბილში ფურნალისტ ვ.მარიანს.

გასული საუკუნის 80-იან წლებში ერევანში გამოვიდა ვინმე სურენ აივაზიანის „ნაშრომი“, რომელშიც ავტორი ამტკიცებს, რომ მან აღმოაჩინა მესროპამდელი უძველესი სომხური ანბანი მინგეჩაურის მიდამოებში. ეს სენსაციური „აღმოჩენა“ მოედო ქვეყნიერებას და ბოლოს მიაღწია აკად. ბ. პიოტროვსკიმდე. აკად. ბ.პიოტროვსკის განრისხებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა ამ ანბანს გაცნო: **სურენ აივაზიანის მიერ „აღმოჩენილი“ მესროპამდელი „უძველესი ანბანი“ გამოდგა XVI ს-ის არაბული წარწერა, რომელიც სომეხმა „მეცნიერმა“, სურენ აივაზიანმა, მარცხნიდან მარჯვნივ წაიკითხა და მესროპამდელ სომხურ ანბანად გაასაღა.** აკად. ბ. პიოტროვსკიმ გამოაქვეყნა სტატია, რომელშიც ს.აივაზიანი მეცნიერულ ყალთაბანდობაში ამხილა. აკად. ბ.პიოტროვსკის ამ სტატიის გამოქვეყნება სურდა გაზეთ „იზვესტიამი“ მაგრამ სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტის, აკად. ვ. ამბარცუმიანის თხოვნით, აკად. ბ.პიოტროვსკიმ ეს სტატია „იზვესტიის“ მაგიერ გამოაქვეყნა სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ორგანოში. ამით საქვეყნოდ შერცხვენას და თავის მოჭრას გადაურჩა სომხური აკადემიური სამეცნიერო საზოგადოება. ეს ისტორია გავისხენე იმიტომ, რომ **ახლახან ისევ გამოყო თავი „მეცნიერმა“ სურენ აივაზიანმა, რომელსაც აკადემიკოსის სამეცნიერო ტიტული ამშვენებს.** აკად. სურენ აივაზიანს დაუარსებია ვაზ. „მენამორი“ და მასში ბეჭდავს თავის მეცნიერულ მარგალიტებს. ერთი საგულისხმო დეტალი - აკად. სურენ აივაზიანს თავისი გაზეთის ათასობით ეგზემპლარი ყოველთვიურად შემოაქვს ჭავახეთში და უფასოდ ურიგებს ჭავახელ სომხებს. ამას რატომ აკეთებს, ახლავე მოგახსენებთ. ამა წლის აპრილს ნომერში ვაზ. „მენამორში“ გამოქვეყნდა თვით რედაქტორის, აკად. სურენ აივაზიანის წერილი ქართველთა შესახებ. ამ სტატიაში, თუ შეიძლება ამას სტატია ეწოდოს, ქართველ თავად-აზნაურთა საგვარეულო გამოცხადებულია სომხურად. მაგალითად: ჭავჭავაძე-ჭავჭავაძეანც, ბარათაშვილი - ბარათიანც, მუხრანბატონი - მუხრანიანც, ჭავახიშვილი - ადამიანც, ნიკო ფიროსმანი - ფიროსმანიანც, ბაგრატიონი - ბაგრატუნ, მეფე გიორგი XII სტალინი კი წმინდა სისხლის სომხები ყოფილან, „ვეფხისტყაოსანი“ სომხურად დაუნერია, თურმე, რუსთაველ თავად აშოტს, შემდეგ იგი გადაუთარგმნიათ ქართველებს, ხოლო სომხური დედანი გაუნადგურებიათ და პოემა მიუთვისებიათ. თურმე, ნუ იტყვით და, სომეხი ბაგრატიონის შვილს აკაკი წერეთლის ფსევდონიმით „სულიკო“ დაუნერია.

აკად. სურენ აივაზიანის მიხედვით, **საქართველოს მიწაზე უძველესი აბორიგენები რუსები და სომხები ყოფილან, რომელთაც ძველი დროიდანვე ავიწროებენ ქართველები.** სომეხთა მეფეს ტიგრან I-ს ქართველები 524 წელს ჩვენს ერამდე მის მიერ დაპყრობილი ესპანეთიდან გადმოუსახლებია და სომხეთის პროვინციაში - ვრასტანში და სხვ. ამგვარი უსაზღვრო

ფანტაზიებით არის სავსე აკად. სურენ აივაზიანის ე.წ. სტატია.

**აკად. სურენ აივაზიანი მთლად დალაგებული რომ არ იქნება, ეს ძნელი მისახვედრი არ არის, მაგრამ მას და მის ბოროტ ნაბოღვარს ერევანში რომ ვიღაც იყენებს საქართველოს წინააღმდეგ, ეს ფაქტია.** გიჟის ამ „მეცნიერულ მარგალიტებს“ სომეხთა გარკვეულ წრეში გასავალი რომ აქვს, ამაში თვითონ დავრწმუნდი, როცა შემთხვევით შევხვდი რამდენიმე ჯავახელ სომეხს და ამის შესახებ სიტყვა ჩამოვუგდე. მათ არცთუ მიუღებლად მიიჩნიეს აკად. სურენ აივაზიანის „ადმოჩენა“, რომელიც წერს: „ისტორიკოსების ცნობით „ქართის“ ფუძე უკავშირდება „ქურთს“. რაც შეეხება სომხეთის ამ ჩრდილოეთ პროვინციის (ქართლს ბ.ა.) რუსულ სახელწოდებას - „გრუზია“ ის უკავშირდება სიტყვა „გრუზჩიკს“, - მუშას. სწორედ ეს ფუნქცია ჰქონდათ ქართველებს, ვიდრე რუსებს შეავიწროებდნენ და გაბატონებულ მდგომარეობას მოიპოვებდნენ“.

აკად. სურენ აივაზიანის ამ „ნაშრომიდან“ კიდევ შეიძლება ამგვარი „ადმოჩენების“ მოტანა, მაგრამ, ვფიქრობ, ესეც საკმარისია, რათა ქართველმა მკითხველმა ზოგიერთი სომხის საპირისპირო დასკვნა გააკეთოს.

ცნობილი სომეხი პოეტი ოვანეს თუმანიანი თავის ერს მოძღვრავდა - „იმ სომეხ მოღვაწეს, რომელიც არ დადგება საქართველოს დასაცავად, არ ესმის თავის ხალხის, მას არა გაეგება რა სომხეთის ისტორიის, ხოლო ის ქართველ, რომელიც არ დაიცვს სომეხს და სომხეთს, არ იცნობს ქართველ ხალხს და არ იცის საქართველოს ისტორიული გზა“.

სამწუხაროდ, ეს ანდერძი დაივიწყა ზოგიერთმა სომეხმა და დღეს მტრად ეკიდება მეზობელ ქართველ ხალხს, რომელზეც იგივე ოვ.თუმანიანი ამბობდა: „თუ თვალს გადავავლებთ მსოფლიოს მეზობელ ხალხთა ურთიერთობებს, აუცილებლად დამეთანხმებით, ქართველები საუკეთესო მეზობლები არიან“.

ჩვენ სტატიაში მოტანილი ზოგიერთი სომეხი მეცნიერის პუბლიკაციებში, რბილად რომ ვთქვათ, ცალმხრივად, არაობიექტურად არის წარმოდგენილი ქართველი ხალხის ისტორია, კულტურა თუ დღევანდელიობა, რაც ლორელი ბრძენის მიერ მონიშნული გზიდან გადახვევაა, რაც ძმობის დალატის ტოლფასია. დალატს კი ისტორია არავის არ აპატიებს და საკადრის განაჩენს გამოუტანს.